ხელშეკრულება №58/19
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 26 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N104 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მ/შ ირინა ჟამკოჩიანის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ ვაჟა გოგოლაშვილი (პ/ნ 01015015596) სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება, კერძოდ საკანალიზაციო ჭის და მილის გაწმენდა (CPV90470000) - შემდგომში მომსახურება, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 127,55 (ასოცდაშვიდი ლარი და 55 თეთრი) ლარს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით;
2.2. შემსყიდველი ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან მიმწოდებელს დაუკავებს საშემოსავლო და საპენსიო გადასახადს.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში;
2.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
2.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარულ დღეში.
3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ათონელის ქ. N5;
3.3. ამ ხელშეკრულების ძალით განხორციელებეული მომსახურების შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მელიქსედ აკოფიანი;
4. მომსახურების ხარისხი და ინსპექტირების პირობები

4.1. შესასყიდი მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღეში განახორციელოს უხარისხო მომსახურებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დროულად არ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

6. ხელშეკრულება შიცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის N104 საჯარო სკოლა

დირექტორის მ/შ

ირინა ჟამკოჩიანი

_____

მიმწოდებელი:
ფ/პ ვაჟა გოგოლაშვილი (პ/ნ:01015015596), მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 111ა, ტელ.:593504252, საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ნGE21BG0000000708909800

ვაჟა გოგოლაშვილი

_____